ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: კლასიკური ფილოლოგია / Classical Philology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის ბაკალავრი (კლასიკური ფილოლოგია) / BA in Philology (Classical Philology)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:
50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს.
120 ECTS კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის).
60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ–ს სხვა ფაკულტეტებზეც. დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესაწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა, ან ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე).
დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა (მაქს. 40 კრედიტი) გამოიყენოს უცხო ენის შესასწავლად ან უცხო ენის ცოდნის გასაღრმავებლად.
10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).
ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:
20 ECTS კრედიტი განკუთვნილია ე.წ. საკომპეტენციო კურსებისათვის (იგულისხმება ძირითადი ფილოლოგიური კომპეტენციები), **80 ECTS** კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, მათ შორის **10 ECTS** კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომს, **20 ECTS** კრედიტი – სპეციალობის არჩევით საგნებს.
ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ არანაკლებ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 კრედიტის (50+120) შესრულება.

სწავლების ენა: ქართული.

მიზანი: პროგრამის მიზანია კლასიკურ ფილოლოგიასთან, ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული, ფუნდამენტური და იმავდროულად ინტერდისციპლინური და კომპლექსური ცოდნის გადაცემა და პრაქტიკული უნარების გამომუშავება შემდეგი მიმართულებებით: ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის,

ლიტერატურის თეორიისა და თარგმანთმცოდნეობის საფუძვლები, ძველი ბერძნული და ლათინური ენები, ანტიკური ლიტერატურა, საბერძნეთისა და რომის ისტორია, მითოლოგია, კულტურა, ქართულ–ბერძნული ისტორიული, ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების ძირითადი ეტაპები, ანტიკურობის გავლენა თანამედროვე ქართულ და ევროპულ ლიტერატურაზე, ხელოვნებასა და კულტურაზე, კლასიკური ტრადიციის შემოქმედებითი ათვისების ისტორია მსოფლიოში და სხვ.

პროგრამა მიზნად ისახავს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი დარგის, კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტების მომზადებას, რომელთა როგორც ზოგადად ჰუმანიტარული, ისე ვიწრო დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სასულიერო–საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ. კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა იძლევა ფართო ჰუმანიტარულ–ფილოლოგიურ განათლებას და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის ჩვევებს, ხოლო პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ კლასიკური ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.

კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს როგორც ანტიკური კულტურული ფასეულობების შესწავლასა და კლასიკური ფილოლოგიის განვითარებას, ისე ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ანტიკურობისა და ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები.

სწავლის შედეგი: კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

1.ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.	კურსდამთავრებულმა იცის: 1.1. ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები; 1.2. საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში; 1.3. აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები; 1.4. რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები

		და კვლევის მეთოდები (არჩევით); 1.5. ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები; 1.6. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები; 1.7. ლინგვისტური კომპარატივისტიკის ძირითადი თეორიები და პრინციპები, ბერძნული და რომანული შედარებითი ენათმეცნიერების საფუძვლები, ლათინური ენის გრამატიკული ფორმების ჩამოყალიბების ისტორია და მათი მიმართება ძველ ბერძნულთან; 1.8. თარგმანთმცოდნეობის ძირითადი თეორიები და პრინციპები, ძველი ბერძნული და ლათინური ენებიდან ქართულად თარგმნის თავისებურებები; 1.9. ინგლისური ენა საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე; არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპული ენა მინიმუმ A2 დონეზე. 1.10. ერთ–ერთი აღმოსავლური ენის საფუძვლები (არჩევით); 1.11. ერთ–ერთი ევროპული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები, ჟანრები, მნიშვნელოვანი ავტორები და მათი ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლები (არჩევით); 1.12. კლასიკური ფილოლოგიის ძირითადი თეორიები, პრინციპები და მეთოდები, კლასიკური ფილოლოგიის განვითარების ისტორია საქართველოსა და უცხოეთში; 1.13. ბერძნულ–რომაული ეპიგრაფიკის, პალეოგრაფიისა და პაპიროლოგიის საფუძვლები; 1.14. ანტიკური სამყაროს რელიგიური, მითოლოგიური, ფილოსოფიური, მეცნიერული და

		სამართლებრივი აზროვნების ძირითადი მახასიათებლები, ყოველდღიური ცხოვრების ასპექტები; 1.15. ძველი ბერძნული და ლათინური ენების მორფოლოგია, სინტაქსი, სტილისტიკა, ლექსიკა და ფრაზეოლოგია, ძველი ბერძნული და ლათინური სენტენციები; 1.16. ძველი ბერძნული დიალექტების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებები; 1.17. ძველი ბერძნული და ლათინური ლექსთწყობის საფუძვლები და ბერძნულ–რომაული სალექსო საზომების ქართულად გადმოტანის ძირითადი პრინციპები; 1.18. ანტიკური (ძველი ბერძნული და რომაული) ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები, ჟანრები, მნიშვნელოვანი ავტორები, მათი შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკა და კვლევის თანამედროვე მდგომარეობა, ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლები; 1.19. საბერძნეთისა და რომის ისტორიის ძირითადი ეტაპები, ბერძნულ–ქართული ისტორიული, ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების ძირითადი ეტაპები; 1.20. ძველი მსოფლიოს (ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის) ისტორიის საგანი, ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ჩარჩოები, მისი ძირითადი პრობლემები, მათი შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძველი (არჩევის შემთხვევაში); 1.21. ანტიკური (ძველი ბერძნული და რომაული) მითოსის ფუნდამენტური სახეები და სიმბოლოები: ღმერთები, გმირები,

		მითოსური ციკლები; მითოლოგიური სახე–სიმბოლოების მეცნიერული ახსნის თეორიები; მითოლოგიის კვლევის სტრუქტურალისტური, სემიოტიკური, შედარებითი მეთოდები (არჩევის შემთხვევაში); 1.22. ანტიკური (ძველი ბერძნული და რომაული) კულტურის განვითარების ძირითადი ეტაპები და მახასიათებლები (არჩევის შემთხვევაში); 1.23. კლასიკური რიტორიკის საფუძვლები და მისი გავლენა თანამედროვეობაზე; რიტორიკის პრინციპების, ლოგიკური არგუმენტაციის, კამათის ხელოვნების, აუდიტორიაზე ზემოქმედების, რიტორული ფიგურების თეორიული საფუძვლები (არჩევის შემთხვევაში); 1.24. ანტიკური მითოლოგიური და ისტორიული ფიგურების მსოფლიო ხელოვნებაში ასახვის ისტორია, ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები (არჩევის შემთხვევაში); 1.25. კლასიკური ტრადიციის შემოქმედებითი ათვისების ისტორია (მისი ეტაპები, ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები), რეცეფციის თეორიები, თანამედროვე კულტურაში კლასიკური ტრადიციის რეცეფციის კვლევის თანამედროვე მდგომარეობა (არჩევის შემთხვევაში); 1.26. კლასიკური ტრადიციის მუდმივობის ისტორიული და კულტურული მიზეზები, ანტიკური მითოლოგიის, ლიტერატურის, თეატრის, ხელოვნების გავლენა თანამედროვე ევროპული კულტურის ფორმირებაზე (არჩევის შემთხვევაში); 1.27. კლასიკური ფილოლოგიის საფუძვლები, რაც იძლევა ძველი

		ბერძნული და ლათინური ენების, ანტიკური ლიტერატურის, კულტურისა და ზოგადად ცივილიზაციის ფართო ცოდნას, ძველი ბერძნული და რომანული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებისა და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების საშუალებას (არჩევის შემთხვევაში).
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.	კურსდამთავრებულს შეუძლია: 2.1. ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნებითი, აგრეთვე კლასიკური ფილოლოგიის მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; 2.2. ინგლისური ენის გამოყენება აკადემიური მიზნებისათვის; 2.3. ერთ–ერთი ევროპული ენის (ინგლისურის გარდა) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის (არჩევის შემთხვევაში); 2.4. ერთ–ერთი აღმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის; 2.5. სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის, საშუალო სირთულის ძველი ბერძნული და ლათინური ტექსტების თარგმნა ქართულად ლექსიკონის დახმარებით და შესაბამისი ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნებითი კომენტარების მომზადება; 2.6. საშუალო სირთულის ტექსტების თარგმნა ქართულიდან ძველ ბერძნულად და ლათინურად; 2.7. სხვადასხვა პერიოდის ძველი

		ბერძნული და ლათინური პოეზიის წაკითხვა შესაბამისი სალექსო საზომების გამოყენებით; 2.8. საშუალო სირთულის ძველი ბერძნული და ლათინური წარწერების და ხელნაწერების წაკითხვა; 2.9. ძველი ბერძნული და ლათინური ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენება; 2.10. ზეპირი კომუნიკაცია რიტორიკის პრინციპების, ლოგიკური არგუმენტაციის, კამათის ხელოვნების, აუდიტორიაზე ზემოქმედების ხერხების, რიტორული ფიგურების გამოყენებით (არჩევის შემთხვევაში);
3. დასკვნის უნარი	სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.	კურსდამთავრებულს აქვს: 3.1. კლასიკური ფილოლოგიის, ფილოლოგიური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მასალებისა და მონაცემების შეგროვების, გააზრების, სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი, ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა, კერძოდ კლასიკური ფილოლოგიისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებით; 3.2. კლასიკური ფილოლოგიის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების იდენტიფიკაციისა და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარი; 3.3. კლასიკური ფილოლოგიის, ფილოლოგიური და ჰუმანიტარული მეცნიერებების

		სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის, სხვადასხვა მეცნიერული მოსაზრებების, ჰიპოთეზებისა და თეორიების კრიტიკული შეფასებისა და საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბების უნარი; 3.4. ძველი ბერძნული და ლათინური ენების გრამატიკის განმარტების, ძველი ბერძნული და ლათინური ტექსტების სინტაქსური და სტილური თავისებურებების გააზრების უნარი მშობლიურ ენასთან მიმართებით.
4. კომუნიკაციის უნარი	იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.	კურსდამთავრებულს აქვს: 4.1. კლასიკური ფილოლოგიის სფეროში არსებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების უნარი როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე; 4.2. კლასიკური ფილოლოგიის სფეროში ქართულ ენაზე საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადების უნარი; 4.3. სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე; 4.4. დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობის და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი; 4.5. სწავლისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კლასიკურ ფილოლოგიასა და ზოგადად ფილოლოგიურ

		მეცნიერებებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი;
5. სწავლის უნარი	საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.	კურსდამთავრებულს აქვს: 5.1. კლასიკური ფილოლოგიის სფეროში, ისევე როგორც ზოგადად ფილოლოგიურ და ჰუმანიტარულ კონტექსტში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; 5.2. დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის მიღების უნარი; 5.3. წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით კვლევითი სამუშაოს, საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულების უნარი; 5.4. სამუშაო დროის რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
6. ღირებულებები	ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.	კურსდამთავრებულს აქვს: 6.1. კლასიკური ფილოლოგიისა და ზოგადად ფილოლოგიურ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არსებული ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი; 6.2. პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა, ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი; 6.3. საკუთარი პროფესიისადმი და სამუშაო გარემოსადმი პატივისცემის გრძნობა; 6.4. დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;

		6.5. პიროვნების თავისუფლების პატივისცემა, ტოლერანტობისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა; 6.6. ზოგადსაკაცობრიო, ევროპული და ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობა;

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკუმის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.

სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს იმ მუზეუმებში, სადაც დაცულია ბერძნულ–რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ექსპონატები. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს იმ ადგილებისა და ისტორიული ძეგლების მონახულებას, რომლებიც ანტიკურ სამყაროს და ქართულ–ბერძნულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს უკავშირდება.

გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, ბერძნულ–რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული ფილმებისა და სპექტაკლების ჩვენება და მათი განხილვა. მუშაობს ანტიკური დრამის სტუდენტური სტუდია „ოდეონი“. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები ქვეყნდება სტუდენტთა სამეცნიერო კრებულ „მნემოსინეში“.

ქართველ პედაგოგებთან ერთად ლექციებსა და სემინარებს სისტემატურად ატარებენ საბერძნეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კვიპროსიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტები. წარჩინებული სტუდენტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნებიან საბერძნეთისა და კვიპროსის უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; დ) სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომზე (საბაკალავრო ნაშრომი, თარგმანი, მოხსენება კონფერენციაზე და სხვ.) მუშაობას; ე) საბაკალავრო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას; ვ) სხვა სახის სასწავლო–სამეცნიერო საქმიანობას კლასიკური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს (დასწრება, დასკვნითი გამოცდა და შუალედური შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის

მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.
სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები: კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს უცხო ენების შემსწავლელ და/ან მთარგმნელობით ცენტრში, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში (ასისტენტად, ლაბორანტად და სხვ.), გამომცემლობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.), სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციასა და სახელმწიფო სექტორში, კერძო კომპანიაში, სასულიერო–საგანმანათლებლო ცენტრებში, ბერძნულ–ქართულ კომპანიებში, საბერძნეთის, კვიპროსისა და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში და სხვ.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი.

სილაბუსები: იხ. დანართი.

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირინე დარჩია

დამატებითი ინფორმაცია: კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაწყება რეკომენდირებულია სწავლების მეორე სემესტრიდან. ძირითად სპეციალობად კლასიკური ფილოლოგიის არჩევის ბოლო ვადაა სწავლების მესამე სემესტრი. დამატებით სპეციალობად სასურველია არჩეულ იქნას: ახალი ბერძნული ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია, არქეოლოგია, ქართული ფილოლოგია, ისტორია, ფილოსოფია, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს კიდევ უფრო მეტად გაიფართოვოს და გაიღრმავოს ზოგადჰუმანიტარული განათლება, გაზარდოს სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები.
კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს როგორც ვიწრო პროფილურ, ისე ფართო, ინტერდისციპლინურ კურსებს, რომლებიც რელიეფურად წარმოაჩენს ანტიკური ტრადიციის შემოქმედებითი ათვისების ისტორიას თანამედროვე საქართველოსა და მსოფლიოში. ამდენად, კლასიკური ფილოლოგიის სასწავლო კურსების დიდი ნაწილი განკუთვნილია ჰუმანიტარული განათლების საფუძვლების, ანტიკურობის, კლასიკური და ევროპული კულტურული ღირებულებების შესწავლით დაინტერესებული ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტისათვის.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი,

შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მასწავლებლები, რომელთაც აქვთ კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. მასწავლებლები უძღვებიან უცხოური (მათ შორის კლასიკური) ენების, ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების სასწავლო კურსების პრაქტიკულ მეცადინეობებს.
კერძოდ, კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას წარმართავს: ემერიტუსი პროფ. რისმაგ გორდეზიანი, პროფ. ლევან გორდეზიანი, პროფ. ლელა ალექსიძე, ასოც. პროფ. იამზე გაგუა, ასოც. პროფ. ირინე დარჩია, ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე, ასოც. პროფ. ქეთევან ნადარეიშვილი, ასოც. პროფ. ნანა ტონია, ასოც. პროფ. მანანა ფხაკაძე, ასოც. პროფ. რუსუდან ცანავა, ასოც. პროფ. ზაზა ხინთიბიძე, მოწვეული ლექტორი, ფილოლ. მეცნ. კანდ. თინათინ გიორგობიანი, მოწვეული ლექტორი, ფილოლ. მეცნ. კანდ. მაგდა მჭედლიძე, ენების ცენტრის მასწ. ქეთევან აბესაძე და სხვ.).

პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: პროგრამა ხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით. კერძოდ, ინსტიტუტში ფუნქციონირებს: სპეციალიზებული, ძირითადად, ბერძნულ–რომაული და ბიზანტიური პროფილის ბიბლიოთეკა – სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის კაბინეტი, ნეოგრეცისტიკის სპეციალიზებული ბიბლიოთეკა, საინფორმაციო–კომპიუტერული ცენტრი (სტუდენტებისათვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის თავისუფალი წვდომით), ორი საკონფერენციო დარბაზი, სამეცნიერო–კვლევითი ლაბორატორია (რომელიც განახორციელებს ეროვნული და საერთაშორისო გრანტებით დაფინანსებულ სამეცნიერო–კვლევით პროექტებს), საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“ (რომელიც კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას უზრუნველყოფს როგორც ორიგინალური, ქართული, ისე უცხო ენებიდან თარგმნილი უახლესი სახელმძღვანელოებით).
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობისათვის და კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება ინსტიტუტის ბაზაზე არსებული 14 კომპიუტერი, ერთი რიზოგრაფი, ერთი პროექტორი, ორი მაგნიტოფონი, ორი ტელევიზორი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც თსუ–ს ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.
გარდა ამისა, დაფუძნებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის განვითარების ფონდი, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში საბერძნეთის საელჩოს, საბერძნეთის უწყვეტი განათლების, რელიგიურ საქმეთა და მეცნიერების სამინისტროს, საბერძნეთის საგარეო და კულტურის სამინისტროების, სხვადასხვა ბერძნული ფონდებისა და ორგანიზაციების დახმარებით. აღნიშნული ფონდი უზრუნველყოფს ინსტიტუტის ყველა საფეხურის და მათ შორის კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას და ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამების

განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს უახლესი ქართულენოვანი სახელმძღვანელოებითა და ლექსიკონებით.

სწავლის შედეგების რუკა (კლასიკური ფილოლოგია)

	კომპეტენციები																			
საგნის/მოდულის სახელწოდება	**1.1**	**1.2**	**1.3**	**1.4**	**1.5**	**1.6**	**1.7**	**1.8**	**1.9**	**1.10**	**1.11**	**1.12**	**1.13**	**1.14**	**1.15**	**1.16**	**1.17**	**1.18**	**1.19**	**1.20**
1.ენათმეცნიერების შესავალი					X															
2.აკადემიური წერა			X																	
3.ფილოსოფიის შესავალი	X																			
4.საქართველოს ისტორია		X																		
5.უცხო ენა									X											
6.შესავალი კურსები (კლასიკური ფილოლოგიის, ლიტმცოდნეობის და სხვ.)				X								X	X	X					X	
7.ლიტერატურის თეორია					X	X														
8.ლინგვისტური კომპარატივისტიკა							X													
9.მსოფლიო ლიტერატურის ისტორია (ქვეყნის არჩევით)											X									
10.ძველი ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნის თეორია და								X												

პრაქტიკა																				
11.ძველი ბერძნული ენა 1, 2, 3															X	X				
12.ლათინური ენა 1, 2, 3															X	X				
13.ძველი ბერძენი ავტორი 1, 2, 3																X	X	X		
14.რომაელი ავტორი 1, 2, 3																X	X	X		
15.ანტიკური ლიტერატურის ისტორია 1, 2																		X		
16.საბაკალავრო ნაშრომი																				
17.კლასიკური რიტორიკა და წერითი მეტყველების თანამედროვე სტრატეგიები																				
18.ანტიკური კულტურის მწვერვალები																				
19.ძველი მსოფლიოს ისტორიის საფუძვლები																				X
20.ანტიკურობა და დასავლეთევროპული ლიტერატურა																				
21.ანტიკური დრამის რეცეფცია თანამედროვე თეატრსა																				

და კინოში																				
22.ანტიკური მითოლოგიური და ისტორიული ფიგურები მსოფლიოს სახვით ხელოვნებაში																				
23.ანტიკური მითოლოგია																				

	კომპეტენციები																			
საგნის/მოდულის სახელწოდება	**1.21**	**1.22**	**1.23**	**1.24**	**1.25**	**1.26**	**1.27**	**2.1**	**2.2**	**2.3**	**2.4**	**2.5**	**2.6**	**2.7**	**2.8**	**2.9**	**2.10**	**3.1**	**3.2**	**3.3**
1.ენათმეცნიერების შესავალი																				
2.აკადემიური წერა																				
3.ფილოსოფიის შესავალი																				
4.საქართველოს ისტორია																				
5.უცხო ენა									X											
6. შესავალი კურსები (კლასიკური ფილოლოგიის, ლიტმცოდნეობის და სხვ.)							X								X			X	X	X
7.ლიტერატურის თეორია																				
8.ლინგვისტური კომპარატივისტიკა																		X		
9.მსოფლიო ლიტერატურის ისტორია																				

(ქვეყნის არჩევით)																				
10.ძველი ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნის თეორია და პრაქტიკა												X								
11.ძველი ბერძნული ენა 1, 2, 3												X	X	X		X				
12.ლათინური ენა 1, 2, 3												X	X	X		X				
13.ძველი ბერძენი ავტორი 1, 2, 3												X		X				X		
14.რომაელი ავტორი 1, 2, 3												X		X				X		
15.ანტიკური ლიტერატურის ისტორის 1, 2																		X	X	X
16.საბაკალავრო ნაშრომი							X	X		X								X	X	X
17.კლასიკური რიტორიკა და წერითი მეტყველების თანამედროვე სტრატეგიები			X														X	X		
18.ანტიკური კულტურის მწვერვალები		X																		
19.ძველი მსოფლიოს ისტორიის საფუძვლები																		X		
20.ანტიკურობა და დასავლეთევროპული					X													X		

ლიტერატურა																				
21.ანტიკური დრამის რეცეფცია თანამედროვე თეატრსა და კინოში					X	X												X		
22.ანტიკური მითოლოგიური და ისტორიული ფიგურები მსოფლიოს სახვით ხელოვნებაში				X														X		
23.ანტიკური მითოლოგია	X																	X		

	კომპეტენციები																			
საგნის/მოდულის სახელწოდება	**3.4**	**4.1**	**4.2**	**4.3**	**4.4**	**4.5**	**5.1**	**5.2**	**5.3**	**5.4**	**6.1**	**6.2**	**6.3**	**6.4**	**6.5**	**6.6**				
1.ენათმეცნიერების შესავალი																				
2.აკადემიური წერა																				
3.ფილოსოფიის შესავალი																				
4.საქართველოს ისტორია																				
5.უცხო ენა																				
6. შესავალი კურსები (კლასიკური ფილოლოგიის, ლიტმცოდნეობის და სხვ.)		X		X	X		X				X				X	X				
7.ლიტერატურის თეორია																				
8.ლინგვისტური კომპარატივისტიკა				X			X	X					X	X						
9.მსოფლიო ლიტერატურის ისტორია (ქვეყნის არჩევით)																				
10.ძველი ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნის თეორია და პრაქტიკა	X			X	X			X		X		X	X	X						
11.ძველი ბერძნული ენა 1, 2, 3	X			X	X		X	X					X	X						
12.ლათინური ენა 1, 2, 3	X			X	X		X	X					X	X						
13.ძველი ბერძენი ავტორი 1, 2, 3	X			X	X	X		X		X			X	X						
14.რომაელი ავტორი 1, 2, 3	X			X	X	X		X		X			X	X						
15.ანტიკური ლიტერატურის		X		X	X		X								X	X				

ისტორია 1, 2																				
16.საბაკალავრო ნაშრომი			X			X			X	X	X	X								
17.კლასიკური რიტორიკა და წერითი მეტყველების თანამედროვე სტრატეგიები				X						X		X								
18.ანტიკური კულტურის მწვერვალები		X		X		X		X		X					X	X				
19.ძველი მსოფლიოს ისტორიის საფუძვლები		X								X					X	X				
20.ანტიკურობა და დასავლეთევროპული ლიტერატურა		X		X		X				X					X	X				
21.ანტიკური დრამის რეცეფცია თანამედროვე თეატრსა და კინოში		X		X	X			X		X					X	X				
22.ანტიკური მითოლოგიური და ისტორიული ფიგურები მსოფლიოს სახვით ხელოვნებაში		X		X		X		X		X										
23.ანტიკური მითოლოგია		X		X	X				X	X					X	X				

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებითი საგანმანათლებლო დასახელება: კლასიკური ფილოლოგია / Classical Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS კრედიტი.

სწავლების ენა: ქართული.

მიზანი: პროგრამის მიზანია კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ცოდნის გადაცემა და პრაქტიკული უნარების გამომუშავება შემდეგი მიმართულებებით: ძველი ბერძნული და ლათინური ენები, ანტიკური ლიტერატურა, საბერძნეთისა და რომის ისტორია, მითოლოგია, კულტურა, ქართულ–ბერძნული ისტორიული, ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების ძირითადი ეტაპები და სხვ.
პროგრამის კურსდამთავრებულთა დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სასულიერო–საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ. პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ კლასიკური ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.
კლასიკური ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს როგორც ანტიკური კულტურული ფასეულობების შესწავლას, ისე ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ანტიკურობისა და ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე.

სწავლის შედეგი: კლასიკური ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

1.ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.	კურსდამთავრებულმა იცის: 6.1. კლასიკური ფილოლოგიის ძირითადი თეორიები, პრინციპები და მეთოდები, კლასიკური ფილოლოგიის განვითარების ისტორია საქართველოსა და უცხოეთში; 6.2. ბერძნულ–რომაული ეპიგრაფიკის, პალეოგრაფიისა და პაპიროლოგიის საფუძვლები; 6.3. ანტიკური სამყაროს რელიგიური, მითოლოგიური, ფილოსოფიური, მეცნიერული და სამართლებრივი აზროვნების ძირითადი მახასიათებლები, ყოველდღიური ცხოვრების ასპექტები;

		6.4. ძველი ბერძნული და ლათინური ენების მორფოლოგია, სინტაქსი, სტილისტიკა, ლექსიკა და ფრაზეოლოგია, ძველი ბერძნული და ლათინური სენტენციები; 6.5. ანტიკური ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები, ჟანრები, მნიშვნელოვანი ავტორები, მათი შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკა და კვლევის თანამედროვე მდგომარეობა, ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლები; 6.6. საბერძნეთისა და რომის ისტორიის ძირითადი ეტაპები, ბერძნულ–ქართული ისტორიული, ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების ძირითადი ეტაპები;
7. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.	კურსდამთავრებულს შეუძლია: 7.1. კლასიკური ფილოლოგიის მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; 7.2. საშუალო სირთულის ტექსტების თარგმნა ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან ქართულად; 7.3. საშუალო სირთულის ტექსტების თარგმნა ქართულიდან ძველ ბერძნულად და ლათინურად; 7.4. ძველი ბერძნული და ლათინური ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენება;
8. დასკვნის უნარი	სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული	კურსდამთავრებულს აქვს: 8.1. კლასიკური ფილოლოგიის ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მასალებისა და

	მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.	მონაცემების შეგროვების, გააზრების, სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი, კლასიკური ფილოლოგიისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებით; 8.2. კლასიკური ფილოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის, სხვადასხვა მეცნიერული მოსაზრებების, ჰიპოთეზებისა და თეორიების კრიტიკული შეფასებისა და საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბების უნარი; 8.3. ძველი ბერძნული და ლათინური ენების გრამატიკის განმარტების, ძველი ბერძნული და ლათინური ტექსტების სინტაქსური და სტილური თავისებურებების გააზრების უნარი მშობლიურ ენასთან მიმართებით.
9. კომუნიკაციის უნარი	იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.	კურსდამთავრებულს აქვს უნარი: 9.1. კლასიკური ფილოლოგიის სფეროში არსებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების; 9.2. სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემის; 9.3. დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობის და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის; 9.4. სწავლისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების,

		კლასიკურ ფილოლოგიასა და ზოგადად ფილოლოგიურ მეცნიერებებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენების;
10. სწავლის უნარი	საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.	კურსდამთავრებულს აქვს უნარი: 10.1. კლასიკური ფილოლოგიის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის; 10.2. დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის მიღების; 10.3. სამუშაო დროის რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი.
11. ღირებულებები	ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.	კურსდამთავრებულს აქვს: 11.1. კლასიკური ფილოლოგიის სფეროში არსებული ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი; 11.2. პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა, ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი; 11.3. საკუთარი პროფესიისადმი და სამუშაო გარემოსადმი პატივისცემის გრძნობა; 11.4. დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა; 11.5. პიროვნების თავისუფლების პატივისცემა, ტოლერანტობისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა;

		11.6. ზოგადსაკაცობრიო, ევროპული და ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობა;

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკუმის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის და სხვ. ფორმატში.

სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს იმ მუზეუმებში, სადაც დაცულია ბერძნულ–რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ექსპონატები. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს იმ ადგილებისა და ისტორიული ძეგლების მონახულებას, რომლებიც ანტიკურ სამყაროს და ქართულ–ბერძნულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს უკავშირდება.

გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, ბერძნულ–რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული ფილმებისა და სპექტაკლების ჩვენება და მათი განხილვა. მუშაობს ანტიკური დრამის სტუდენტური სტუდია „ოდეონი“. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები ქვეყნდება სტუდენტთა სამეცნიერო კრებულ „მნემოსინეში“.

ქართველ პედაგოგებთან ერთად ლექციებსა და სემინარებს სისტემატურად ატარებენ საბერძნეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კვიპროსიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტები. წარჩინებული სტუდენტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნებიან საბერძნეთისა და კვიპროსის უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; დ) სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომზე (თარგმანი, მოხსენება კონფერენციაზე და სხვ.) მუშაობას; ე) სხვა სახის სასწავლო–სამეცნიერო საქმიანობას კლასიკური ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს (დასწრება, დასკვნითი გამოცდა და შუალედური შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და

დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.
სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები: კლასიკური ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის პროგრამის ფარგლებში შეძენილი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს უცხო ენების შემსწავლელ და/ან მთარგმნელობით ცენტრში, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში (ასისტენტად, ლაბორანტად და სხვ.), გამომცემლობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.), სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციასა და სახელმწიფო სექტორში, კერძო კომპანიაში, სასულიერო–საგანმანათლებლო ცენტრებში და სხვ.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი.

სილაბუსები: იხ. დანართი.

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირინე დარჩია

დამატებითი ინფორმაცია: კლასიკური ფილოლოგიის დამატებით პროგრამაზე სწავლის დაწყება რეკომენდირებულია სწავლების მესამე სემესტრიდან. ძირითად სპეციალობად სასურველია არჩეულ იქნას: ახალი ბერძნული ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია, არქეოლოგია, ქართული ფილოლოგია, ისტორია, ფილოსოფია, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს კიდევ უფრო მეტად გაიფართოვოს და გაიღრმავოს ზოგადჰუმანიტარული განათლება, გაზარდოს სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მასწავლებლები, რომელთაც აქვთ კლასიკური ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. მასწავლებლები უძღვებიან ძველი ბერძენი და ლათინური ენების სასწავლო კურსების პრაქტიკულ მეცადინეობებს.
კერძოდ, კლასიკური ფილოლოგიის დამატებით პროგრამას წარმართავს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2 სრული პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 2 მოწვეული ლექტორი და ენების ცენტრის ორი მასწავლებელი (სრული პროფ. რისმაგ გორდეზიანი, სრული პროფ. ლევან გორდეზიანი, სრული პროფ. ლელა ალექსიძე, ასოც. პროფ. იამზე გაგუა, ასოც. პროფ. ირინე დარჩია, ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე, ასოც. პროფ. ქეთევან ნადარეიშვილი, ასოც. პროფ. ნანა ტონია, ასოც. პროფ. მანანა ფხაკაძე, ასოც. პროფ. რუსუდან ცანავა, ასოც. პროფ. ზაზა ხინთიბიძე, მოწვეული ლექტორი, ფილოლ. მეცნ. კანდ. თინათინ გიორგობიანი, მოწვეული ლექტორი, ფილოლ. მეცნ. კანდ. მაგდა მჭედლიძე, ენების ცენტრის მასწ. ქეთევან აბესაძე და სხვ.).

პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: პროგრამა ხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით. კერძოდ, ინსტიტუტში ფუნქციონირებს: სპეციალიზებული, ძირითადად, ბერძნულ–რომაული და ბიზანტიური პროფილის ბიბლიოთეკა – სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის კაბინეტი, ნეოგრეცისტიკის სპეციალიზებული ბიბლიოთეკა, საინფორმაციო–კომპიუტერული ცენტრი (სტუდენტებისათვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის თავისუფალი წვდომით), ორი საკონფერენციო დარბაზი, სამეცნიერო–კვლევითი ლაბორატორია (რომელიც განახორციელებს ეროვნული და საერთაშორისო გრანტებით დაფინანსებულ სამეცნიერო–კვლევით პროექტებს), საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“ (რომელიც კლასიკური ფილოლოგიის დამატებით პროგრამას უზრუნველყოფს როგორც ორიგინალური, ქართული, ისე უცხო ენებიდან თარგმნილი უახლესი სახელმძღვანელოებით).

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობისათვის და კლასიკური ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება ინსტიტუტის ბაზაზე არსებული 14 კომპიუტერი, ერთი რიზოგრაფი, ერთი პროექტორი, ორი მაგნიტოფონი, ორი ტელევიზორი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: კლასიკური ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც თსუ–ს ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

გარდა ამისა, დაფუძნებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის განვითარების ფონდი, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში საბერძნეთის საელჩოს, საბერძნეთის უწყვეტი განათლების, რელიგიურ საქმეთა და მეცნიერების სამინისტროს, საბერძნეთის საგარეო და კულტურის სამინისტროების, სხვადასხვა ბერძნული ფონდისა და ორგანიზაციის დახმარებით. აღნიშნული ფონდი უზრუნველყოფს ინსტიტუტის ყველა საფეხურის და მათ შორის კლასიკური ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას და ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს უახლესი ქართულენოვანი სახელმძღვანელოებითა და ლექსიკონებით.

სწავლის შედეგების რუკა (დამატებითი პროგრამა: კლასიკური ფილოლოგია)

	კომპეტენციები																			
საგნის/მოდულის სახელწოდება	**1.1**	**1.2**	**1.3**	**1.4**	**1.5**	**1.6**	**2.1**	**2.2**	**2.3**	**2.4**	**3.1**	**3.2**	**3.3**	**4.1**	**4.2**	**4.3**	**4.4**	**5.1**	**5.2**	**5.3**
1. შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	X	X	X			X	X				X	X		X	X	X	X	X	X	X
2. ძველი ბერძნული ენა 1, 2, 3				X				X	X	X			X	X	X				X	
3. ლათინური ენა 1, 2, 3				X				X	X	X			X	X	X				X	
4. ანტიკური ლიტერატურის ისტორია 1					X		X				X	X		X	X	X	X	X	X	X

	კომპეტენციები																			
საგნის/მოდულის სახელწოდება	**6.1**	**6.2**	**6.3**	**6.4**	**6.5**	**6.6**														
1. შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	X	X	X	X	X	X														
2. ძველი ბერძნული ენა 1, 2, 3	X	X	X	X																
3. ლათინური ენა 1, 2, 3	X	X	X	X																
4. ანტიკური ლიტერატურის ისტორია 1	X	X	X	X	X	X														